აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-44

გორი 09 10 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოკლევადიანი სასერთიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის „ქრისტიანობის ისტორია" დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის N09-83 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოკლევადიანი სასერთიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების", ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (03.10.2018. N1271312); სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (04.10.2018. N1278923); საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის (03.10.2018. N1271106); ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის (04.10.2018. N1273569) სამსახურებრივი ბარათებისა და გორისა და ატენის მიტროპოლიტის (02.10.2018. N1262639) განცხადების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოკლევადიანი სასერთიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა „ქრისტიანობის ისტორია" დანართის შესაბამისად;

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30)

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მოკლევადიანი სასერთიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამა
„ქრისტიანობის ისტორია".

1. პროგრამის სახელწოდება: *ქრისტიანობის ისტორია*

2. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამის მოცულობა შეადგენს 45 (ECTS) კრედიტს – 1125 საათს (1 (ECTS) კრედიტი = 25 საათი).

3. პროგრამის ხანგრძლივობა: 24 კვირა (6 თვე).

4. სწავლების ენა: ქართული

5. პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია შეასწავლოს მსმენელს ქრისტიანობის წარმოშობისა და განვითარების ევოლუციური ეტაპები, ქრისტიანობის წვლილი მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წვლილი და ადგილი ქრისტიანობის ისტორიაში; მიღებულ ისტორიულ ცოდნაზე დაყრდნობით შეაფასოს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენები.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე.

7. სწავლის შედეგები:
პროგრამის ათვისების შემდეგ კურსის მსმენელი ფლობს ცოდნას:

- ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შექმნის, ქრისტიანული ღვთისმეტყველების საფუძვლების, ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ისტორიის, პატროლოგიის, მსოფლიო ქრისტიანობის ეკლესიის ისტორიის, მსოფლიო რელიგიების, ქრისტიანულ ეთიკის, წმინდა მიწაზე ქართული სასულიერო კერების შესახებ.

პროგრამის ათვისების შემდეგ კურსმსმენელს შეუძლია:
- განსაზღვროს ქრისტიანობის როლი საქართველოს და მსოფლიო ეკლესიის ისტორიულ და კულტურულ განვითარებაში.
- გაიაზროს ქრისტიანობის ისტორიაში მიღებული ცოდნა თანამედროვეობასთან კონტექსტში;
- დაასაბუთოს ქრისტიანობის მნიშვნელობა ისტორიულ პროცესებში.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ორიენტირებულია მსმენელზე. პროგრამა ითვალისწინებს თემატურ გეგმაზე დაყრდნობით პედაგოგების ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მსმენელებზე ეფექტურად გადაცემას.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ლექციის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობების, ჯგუფური და წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების და სხვ. ფორმატი.

9. **შეფასების სისტემა:**
   - შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
   - განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
   - განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
     ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
     ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

   –განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
   –შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსში.

10. **სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით:**

1.	ძველი აღთქმა	5 (ECTS) კრედიტი
2.	ახალი აღთქმა	5(ECTS) კრედიტი
3.	ღვთისმეტყველების ისტორია	5 (ECTS) კრედიტი
4.	მსოფლიო ქრისტიანობის ეკლესიის ისტორია	5 (ECTS) კრედიტი
5.	ქართული სახელმწიფო და ეკლესია	5(ECTS) კრედიტი
6.	პატროლოგია	5(ECTS) კრედიტი
7.	მსოფლიო რელიგიები	5(ECTS) კრედიტი
8.	ქრისტიანული ეთიკა	5(ECTS) კრედიტი
9.	ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ	5(ECTS) კრედიტი

პროგრამა განხორციელდება კურაციული მიდგომით. პირველი 2 თვე დაეთმობა 3 სასწავლო კურსის შესწავლას, შემდეგი 2 თვე ასევე 3 სასწავლო კურსს და მესამე 2 თვეც - 3 სასწავლო კურსს, მეცადინეობების დაწყებამდე შედგენილი მეცადინეობათა კალენდარის მიხედვით.

სერთიფიკატის გაცემის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრული ყველა სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება.

11. **პროგრამაზე სწავლის საფასური:** პროგრამის ღირებულებას მსმენელი იხდის სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშზე 300 ლარს (საშუალოდ თვეში 50 ლ).

12. **მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა:** პროგრამა გათვალისწინებულია მინიმუმ 5 და მეტ მსმენელზე.